ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3484372

ნომერი: AR1532201

თარიღი : 11.08.2017

გაცემის თარიღი : 21.08.2017

გაცნობის თარიღი : 23.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა დეისაძე პ/ნ 60001055619
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 9 ბ. 1

ორგანიზაცია:

- ნიკოლოზი კოდი: 401971354

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 11 აგვისტოს AR1532201 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.543; ფართობი: 25267 კვ.მ;) სამსახურის მიერ 2015 წლის 03 დეკემბრის №2313622 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებსი ცვლილებას ახალი საპროექტო ობიექტის დასაფიქსირებლად.

პასუხადგაცნობებთ, რომ აღნიშნული აქტი დამტკიცებულია განმცხადებლის ვასილ აბციაურის განაცხადის საფუზველზე, შესაბამისად მასში ცვლილების განხორციელებაც უნდა განხორციელდეს იგივე განმცხადებლის განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს მისი შესაბამისიფორმით დამოწმებული თანხმობა მოთხოვნილი ცვლილების თაობაზე ან აღნიშნულიპირი დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად. ასევე შესაძლებელია აქტში ცვლიების მოთხოვნა განხორციელდეს 2015 წლის 03 დეკემბრის №2313622ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების ნოტარიალური თანხმობების საფუძველზე. აღნიშნული პირები შესაძლებელია დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონითან მის საფუძველზე გამოცემულიკანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოსდამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციისწარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაშისრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 11 აგვისტოს AR1532201 განცხადებადარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.